პრესრელიზი

25 სექტემბერს, 14:00 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნება გრიგოლ ფერაძის 120 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ღონისძიება იმართება მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება გრიგოლ ფერაძის ავტოგრაფული ნუსხების და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები: ფოტოები, თეოლოგიური ხასიათის თხზულებები, ყრმობისა და მოსწავლეობის პერიოდის ნაწერები, მიმოწერა კორნელი კეკელიძესთან და სხვა.

დამთვალიერებელს 2 დღის განმავლობაში გრიგოლ ფერაძის სრული არქივის ხილვა შეეძლება.

გამოფენის გარდა ჩატარდება მინი-ლექციების ციკლი. რომანოზ ფერაძე (გრიგოლ ფერაძის ძმისშვილი) ისაუბრებს გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობის შესახებ.

გარდა ამისა გაიმათება 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოცემის „ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ პრეზენტაცია.

ქართველი თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა 1995 წელს.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge